

**POSITIONAL VARIANTS OF THE SECOND SUBJECTIVE AND THIRD  
INDIRECT OBJECTIVE PERSON SIGNS IN KARTLURI**

მეორე სუბიექტური და მესამე ირიბობიექტური პირის ნიშნების პოზიციური  
ნაირსახეობები ქართლურში

**Mariam Koberidze**

Doctor of Philology, Professor of Gori State University,  
Gori, Chavchavadze st., #53, 1400, Georgia,  
+ 995577251275, maikoberidze@gmail.com  
<https://orcid.org/0000-0002-6604-1628>

**Abstract.** In a scientific work, based on texts published in Kartluri and the latest recorded materials, positional varieties of the second subjective and third indirect objective person signs of the verb are studied.

Attention is drawn to the variety of allomorphs of person signs and identical phenomena in other dialects.

Some of the signs of the person are similar to the literary language (kh-, s-, h-, 0- ), while the other part is presented in phonetic (hs-, hsh-, io-, ios-, ioh-, z-, sh- ... ) variety and is different depending on the angles.

In Western Kartlur, under the influence of the Imer dialect, prefixes h- and s- are often lost before consonants, while in Northern, Samkhru and Shida Kartlur they are often found, but there is no certain rule in their use.

As a result of the weakening of the s-prefix, we get  $\alpha$  („io”). This sound is not equally widespread in the speech of all parts of Kartli, although we find all its cases, which is confirmed in Kakhuri, Mthiuluri, Pshauri, Ingilour and Fereidinul...

$\alpha$ h- (‘ioh’,  $\alpha$ s- (‘ios’), hs-, hsh- double prefix is found in the Kaspi municipality and in the valleys of Aten and Tsedis, it appears relatively less often in the valley of Big and Little Liakhvi, it is almost not found in the nearby villages of Tskhinvali (Kurta, Kekhvi, Kemert, Achabet...), while The speech of the Fron Valley is a transition zone between Shida Kartlar and Western Kartlar. These prefixes are sometimes used in the same verb: hshchams // hschams ← scams (‘eats’); mihsdevs ← misdevs (‘follows’); mo $\alpha$ sts’q’vit’a ← mosts’q’vit’a (‘stopped’); ga $\alpha$ hkra → gahkra (‘hit’).

The conclusions obtained as a result of the research are important for the analysis of the key issues of Georgian dialectology and the structure and history of the Georgian language.

**Key words:** Kartlian dialect, kilobytes, second subjective and third objective person, prefix, phonetic change.

მარიამ კობერიძე

ფილოლოგიის დოქტორი,  
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,  
ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. #53, 1400, საქართველო,  
+ 995577251275, maikoberidze@gmail.com  
<https://orcid.org/0000-0002-6604-1628>

**აბსტრაქტი.** სამეცნიერო ნაშრომში გამოკვლეულია ზმნის მეორე სუბიექტური და მესამე ირიბობიექტური პირის ნიშნების პოზიციური ნაირსახეობები ქართულში გამოქვეყნებული ტექსტებისა და ფიქსირებული უახლესი მასალების საფუძველზე. ყურადღებას იქცევს პირის ნიშანთა ალომორფების ნაირფეროვნება და სხვა დიალექტების იდენტური მოვლენები. პირის ნიშანთა ნაწილი სალიტერატურო ენის ანალოგიურია (ხ-, ს, ჰ-, ო -), ნაწილი კი ფონეტიკური ნაირსახეობით (ჰს-,ჰშ-, ო-, ოს-, ოჰ-, ზ-, შ- ....) არის წარმოდგენილი და განსხვავებულია კუთხეების მიხედვით.

დასავლურ ქართულში იმერული დიალექტის გავლენით ხშირად იკარგება ჰ-, ს- პრეფიქსები თანხმოვნის წინ, ჩრდილოურ, სამხრულ და შიდაქართულში კი ხშირად გვხვდება, მაგრამ მის ხმარებაში გარკვეული წესი არ არის დაცული.

ს- პრეფიქსის დასუსტების შედეგად ვლელობით ო-ს. ეს ბგერა არ არის ერთნაირად გავრცელებული ქართლის ყველა კუთხის მეტყველებაში, თუმცა ვხვდებით მის ყველა შემთხვევას, რაც კი დადასტურებულია კახურში, მთიულურში, ფშაურში, ინგილოურსა და ფერეიდნულში...

ოჰ-, ოს-, ოს-, ოშ- ორმაგი პრეფიქსი გვხვდება კასპის მუნიციპალიტეტსა და ატენისა და წედისის ხეობაში, შედარებით ნაკლებად იჩენს თავს დიდი და პატარა ლიახვის ხეობაში, თითქმის არ გვხვდება ცხინვალის ახლომდებარე სოფლებში (ქურთა, კეხვი, ქემერტი, აჩაბეთი ...), ხოლო ფრონის ხეობის მეტყველება გარდამავალ ზონას წარმოადგენს შიდაქართულსა და დასავლურ ქართულს შორის. აღნიშნული პრეფიქსები ზოგჯერ ერთსა და იმავე ზმნაში გამოიყენება: ჰშჰამს // ჰსჰამს ← სჰამს; მიჰსდევს←მისდევს; მოდსწყვიტა←მოსწყვიტა; გადჰკრა ←გაჰკრა ....

კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები მნიშვნელოვანია ქართული დიალექტოლოგიისა და ქართული ენის სტრუქტურა და ისტორიის საკვანძო საკითხების ანალიზისათვის.

**საკვანძო სიტყვები:** ქართული დიალექტი, კილოკავები, მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირი, პრეფიქსი, ფონეტიკური ცვლილება.

**შესავალი.** პირის ნიშანთა ცვლილების შედეგად დიალექტებში შესაძლებელია შეგვხვდეს რამდენიმე ფონეტიკური ვარიანტი. მორფმათა მრავალფეროვანი ალომორფები განსხვავებულ გარემოს და იდენტურ ნაირსახეობებს ქმნიან. ყველა შემთხვევაში საერთო ქართულ მოვლენასთან გვაქვს საქმე. საკითხის კვლევისას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება გამოქვეყნებული ტექსტებისა და ფიქსირებული უახლესი მასალების დინამიკაში შესწავლას (გიგინეიშვილი, თოფურია & ქავთარაძე, 1961; შანიძე, 1957; იმნაიშვილი, 1974ა; იმნაიშვილი, 1974ბ; სალარიძე, 1978).

**მეთოდი.** დიალექტური მასალის დინამიკაში შესასწავლად გამოყენებულია ტრადიციული ენათმეცნიერული მეთოდები: დაკვირვების, აღწერითი და ისტორიულ-

შედარებითი. ამავე დროს გამოყენებული იქნა რაოდენობრივი მეთოდები: ანკეტური გამოკითხვა, კონტექსტის ანალიზი.

**შედეგები.** სამეცნიერო ნაშრომში გამოკვლეულია ზმნის მეორე სუბიექტური და მესამე ირიბობიექტური პირის ნიშნების ნაირსახეობა ქართულ კილოში; გაანალიზებულია გამოქვეყნებული ტექსტები და ფიქსირებული უახლესი მასალა დინამიკაში; გამოვლენილია პირის ნიშანთა ალომორფების მრავალფეროვნობა (ჰ-, ს-, ჰს-, ჰჰ-, დ-, დს-, მჰ-, ზ-, შ-, ხ-...), გამოყენების სიხშირე და კუთხეების მიხედვით განსხვავება.

**მსჯელობა.** თანამედროვე ქართულში მეორე სუბიექტური და მესამე ირიბობიექტური პირის ნიშნები წარმოდგენილია ჰ-, ს- და 0 ვარიანტით. ამავე პირის ნიშნად ხ- პრეფიქსი შემონახულია ორიოდ ზმნაში: ხ-არ, მო-ხ-ვალ/ მო-ხ-ვედი. დასახელებული პრეფიქსები ანალოგიურად გამოიყენება მესამე ირიბობიექტურ პირთან.

აღნიშნული პირის ნიშნები მოქმედი სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით ასე ნაწილდება: არ იხმარება ხმოვნების წინ, ჰ- გვხვდება გ, კ, ქ, ბ, პ, ფ, ყ თანხმოვანთა წინ, ს- პრეფიქსი კი - დ, ტ, თ, ძ, წ, ც, ჯ, ჰ, ჩ თანხმოვანთა წინ. გვხვდება გამონაკლისებიც (შანიძე, 1953, გვ. 176).

პირის ნიშანთა მრავალფეროვანი ალომორფები განსხვავებულ ფონეტიკურ გარემოს ქმნის ქართული ენის დიალექტებში.

ქართული ენის დასავლურ არეალში არის ტენდენცია ამ პრეფიქსთა გაქრობისა; აღმოსავლურ დიალექტებში შეინიშნება გართულების ტენდენცია, დასტურდება ნორმის დარღვევის შემთხვევები... (გოგოლაშვილი, 2011, გვ. 279).

ქართლის კილოს სხვა კილოებისაგან განასხვავებს მეორე პირის სუბიექტური პრეფიქსის დაკარგვა და ამიტომ თხრობითისა და ბრძანებითის ერთმანეთში არევა და ფორმალური განურჩევლობა არის და -ვიდა ზმნა შეადგენს, სადაც განსხვავება თხრობით - ბრძანებითს შორის შემორჩენილია დღევანდლამდე მო-ხველი (ნამყო სრული), მო-დი (ბრძანებითი) (შანიძე, 1957, გვ. 236-237).

განვიხილოთ ქართული დიალექტისათვის დამახასიათებელი მეორე სუბიექტური და მესამე ირიბობიექტური პირის ნიშნის ალომორფების გამოყენების შემთხვევები კილოკავების მიხედვით.

ჰ- :

### შიდაქართლური:

მესამე ირიბობიექტური პირი წარმოდგენილია პარალელური ფორმებით: **ჰ** ან **0** ალომორფით:

პირის ნიშანი დაცულია:

ათ თუმან ოქროს **ჩაჰპირდა** წელიწადში (292); მერე ერთ მათლაფა დომხალს **ჩაჰყრიან**<sup>1</sup> (გიგინეიშვილი, თოფურია & ქავთარაძე, 1961, გვ. 292, 294).

**წაჰყვა** გორში (ხურგ.); **მოჰყვებიან** სიმღერას (ხურგ.); მაიკოსა ერთი ძროხა **ჰყამდაო** (ნაწრ.); ზარი **ჰკილია** (ხელთ.); ზოგი ბატონს **გამოჰქცევინ** (ხელთ.) (იმნაიშვილი, 1974ა, გვ. 216).

ბასეინში **ყვანდა** ცოცხალი; კედელას შვილი არა **ჰყვანდა**; დაჩემებული **ჰყამდათ** მეკომურები; ზოგს **ჰყამდა** ათი კომლი, ზოგს -ოცი; ამ ბეგსა **ჰყვანდაო** ქალაქელი მოტაცებულიო ; ძროხასაცა **ჰყვანდა** მოგებული ხბო (იმნაიშვილი, 1974ბ, გვ. 6 -40).

არ იტყვის, პატრონი არა **ჰყამ** ამასო? (ატენი); ერთ ხელმწიფეს ერთი ქალი **ჰყამდა** (ხიდისთავი).

<sup>1</sup> გამონაკლის წარმოდგენს ორპირიანი, გარდამავალი ზმნები მესამე პირში.

**დასავლური ქართლური:**

ზმნის სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე პირის ნიშანი უკვე დაკარგულია, უპრეფიქსოდ გვევლინებიან, წარმოდგენილი არიან 0- ალომორფით. მაგ.:

შენ **დაჭრი** (←დასჭრი) (ყვიბ.); ჩაყრი (←ჩაჭყრი) წყალში (ახალდაბა) ...უნცროსი უკან **მიდემდა** (←მისდევდა); ერთხელ ძმა **მოტაცეს** (←მოსტაცეს) ხარი (საკირე); **მიცა** (←მისცა) შვილს (ახალდაბა); მამაჩემს ამხანაგი ყოლია (←ყოლია) (ლიკ.); წაყვა (←წაჭყვა) (კორტ.); მიყვა (←მიჭყვა) დათვის კვალსა; ქალი **მიყანთ** (←მიჭყავთ) (ყვიბ.) **კითხა** (←ჭკითხა) მედუქნეს (იმნაიშვილი, 1956, გვ. 101-102).

პაპაჩემს **ყამდა** სამი შვილი (87); ჩემ დროში ვენახები ცოტასა **ქონდა** (90); ჩემ ძმას იმნაირი ცოლი **ყამსო** (იმნაიშვილი, 1974ბ, გვ. 87, 90, 94).

ზოგჯერ პრეფერბის შემდეგ, მოქმედებითი გვარის ზმნასთან დასტურდება 3 პრეფიქსი. მაგ.: **გაჭკრა** ხელი.

**ჩრდილოური ქართლური:**

უნდა გადჰპარულიყავიო... როგორაა ჰყიდით? (იმნაიშვილი, 1953, გვ. 325).

**ქვემო ქართლური:**

3 ჩვეულებრივ დასტურდება მესამე ირიბობიექტური პირის ნიშნად. მაგ.:

ბოლოს **დაჰპატონებულებიყო** ბატონი ; ჭალებში სულ ყურმენი **ჰქონიათ** ; **ჰყვანდა** მოურავი ; ხელმწიფემ **ჰკითხა** (იმნაიშვილი, 1974ბ, გვ. 100, 105).

ს-:

**შიდაქართლური:**

ჯავრისგან წელი **სწყდებაო** (ბერბ.); ხელმწიფეს შვილი **შესთხოვა** (სვენ.); ამილახვარს **დასჭირებულებიყო** შვიდი ურემი (ხელთუბ.); ფიცი **მისცეს** ერთმანეთსა (შავშ.); **წასჩურჩულა** ქიტესასა (იმნაიშვილი, 1974ა, გვ. 217).

**დასავლური ქართლური:**

ს- პრეფიქსი თითქმის აღარ გვხვდება ბორჯომის ხეობის მეტყველებაში. მაგ.: ...უნცროსი უკან **მიდემდა** (←მისდევდა); ერთხელ ძმა **მოტაცეს** (←მოსტაცეს) ხარი (საკირე); **მიცა** (←მისცა) შვილს (ახალდაბა) (იმნაიშვილი, 1956, გვ. 101-102).

ღ- :

ღ (იოტი) მეორე სუბიექტური და მესამე ირიბობიექტური პირის 3- და ს- ნიშნების პოზიციურ ნაირსახეობად აქა-იქ გვხვდება სამხრეთ ქართლურში (ქვემო ქართლის ქართულ მოსახლეობაში), უფრო გავრცელებულია ქსნისა და არაგვის ხეობის მეტყველებაში (ჩრდილო ქართლურში), თითქმის არ გვხვდება დასავლური ქართლურის ნაწილში (ბორჯომის ხეობა, სურამის მიდამოები)<sup>2</sup>.

აღგეთურში ღ გვხვდება მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის ნიშნის პოზიციურ ნაირსახეობად და წარმოქმნის დიფთონგს.

ღ ← ს:

პრეფერბიან ზმნებთან:

<sup>2</sup> ქართლ-იმერეთის საზღვარზე.

## ქვემო ქართლური (ალგეთური):

**დაიდალამ** (დასდალამ) (საღრ.); მაყრულ რო შამაძახებ !(ჩხ.); რამდენი ხელი ნიორი დაწანი?; წავა და გამოთიბამს (თონ.); ბუმბული ამოდის (ჩხ.); მამამ მიცა ფული (მანგ.) (სალარიძე, 1978, გვ. 10).

შამაძახებ ← შამასძახებ ← შემოსძახებ.

დაიწანი ← დასწანი.

გამოთიბამს ← გამოსთიბამს ← გამოთიბავს. ამ შემთხვევაში ორპირიანი, გარდამავალი მოქმედებითი გვარის ზმნაა, პირდაპირ ობიექტს მესამე პირში ნიშანი (ს-) არ უნდა ჰქონდეს.

ამოდის ← ამოსდის.

## შიდაქართლური:

ვინც დაძალოს, მისი იყოს (სვენ.); დაითანხმდა მდევი ჩხუბზე (ხურვ.); თან მიადევნ (ბერბ.); გააჩენიყო ტექვსმეტი შვილი (შავშვ.); ატენშიც გამოასჩენიათ ბატონი (ხიდსთ.) (იმნაიშვილი, 1974ა, გვ. 217).

დაძალოს ← დასძალოს.

დაითანხმდა ← დასთანხმდა.

მიადევნ ← მისდევნ.

გააჩენიყო ← გასჩენიყო.

გამოასჩენიათ ← გამოსჩენიათ.

ზევიდან მაადევს არაგვი; აატება სროლა; დააცემს ძირსაო.

მაადევს ← მოსდევს

აატება ← ასტება

დააცემს ← დასცემს.

## ჩრდილოური ქართლური :

## არაგვის ხეობა:

არაგვის ხეობის ქართლურში მეორე სუბიექტური და მესამე ირიბობიექტური პირის პრეფიქსი არეულად იხმარება: ზოგჯერ გვხვდება იქაც, სადაც მოსალოდნელი არ არის და არა გვაქვს იქ, სადაც უნდა იყოს; თავს იჩენს ორმაგი პრეფიქსიც, რომელიც იქაც გვევლინება, სადაც ერთიც არ არის საჭირო.

ლარგვისის საბჭო რომ ამოცდება, არის ერთი ქარჩოხულა; იქ ხალხსა იცემა მოურავმა; თივა არა- იჭირდება ; ვინც იმ ბიჭს მაიწონს (იმნაიშვილი, 1953, გვ. 134, 136, 142).

ამოცდება ← ამოსცდება.

იცემა ← სცემა.

იჭირდება ← სჭირდება.

მაიწონს ← მოსწონს.

გამონაკლისი: ა დასტურდება პირდაპირი ობიექტის ნიშნად მოქმედებითი გვარის ორპირიანი ზმნასთან.

გამათხრიდნენ მიწასა, დაახურამდნენ ფიცარსა, დევს შადკრამდნენ (იმნაიშვილი, 1953, გვ. 133).

გამათხრიდნენ ← გამოთხრიდნენ.



დაბურამდნენ ← დახურამდნენ.  
შაკრამდნენ ← შეკრავდნენ.

ქსნის ხეობა:

დადცინოდა (ლარგვ.); მოდტება მას ფეხი (ახალგ.) (იმნაიშვილი, 1974ა, გვ. 217).

დადცინოდა ← დასცინოდა.  
ამოდცდება ← ამოსცდება.  
მოდტება ← მოსტება.

დ←ჰ:

სამხრეთქართლური:  
პრევერბიან ზმნებთან:

მოქონდათ ; ამოდრიდნენ ცულითა (ჩხ.); მოხარშამენ თათუხის პურსა (გოლოთ.);  
სუ ჩამოკაფეს (თონ.); (სალარიძე, 1978, გვ. 10).

აქ საყურადღებოა ორი შემთხვევა:

ა) დ გავაქვს მესამე ირიბობიექტური პირის (ჰ) ნიშნად:

მოქონდათ ← მოჰქონდათ

ბ) გამონაკლისს წარმოადგენს ორპირიანი, გარდამავალი მოქმედებითი გვარის ზმნები. პირდაპირ ობიექტს მესამე პირში ზმნას ნიშანი (ჰ-) არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ დაირთავს (დ←ჰ←0). მაგ.:

ამოდრიდნენ ← ამოჰდრიდნენ ← ამოყრიდნენ.  
მოხარშამენ ← მოჰხარშამენ ← მოხარშამენ.  
ჩამოკაფეს ← ჩამოჰკაფეს ← ჩამოკაფეს.

უპრევერბო ზმნებთან:

დედას გაჰყვება (// გადყვება) მინდორზე.

რასადგებარ<sup>3</sup>, აზა?! (ჩხ.); სადამხედამ ოსესა? (თონ.); სულსადლევედა (მანგ.);  
ვერამმალამს (← ვერა ჰმალამს) (ჩხ.); დიდი ჩრდილიქონდა (← ჩრდილი ჰქონდა)  
(თონ.)... (სალარიძე, 1978, გვ. 10).

რასადგებარ ← რასა ჰდგებარ.

სადამხედამ ← სადა ჰხედამ.

ჩრდილიქონდა ← ჩრდილი ჰქონდა.

გამონაკლისი: ორპირიანი მოქმედებითი გვარის ზმნები.

სულსადლევედა ← სულსა ჰლევედა ← სულსა ლევედა.

ვერამმალამს ← ვერა ჰმალამს ← ვერ მალამს.

ზოგჯერ ერთი და იმავე ზმნის იდენტური ფორმები ერთი წინადადების ფარგლებში ხან დ-ით, ან 0 ალომორფით არის წარმოდგენილი. დახვრეტამენ, მეორე ხარზე კი დახვრეტამენ (ჩხ.) (სალარიძე, 1978, გვ. 11).

დახვრეტამენ ← დაჰხვრეტამენ ← დახვრეტამენ. სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით გარდამავალი, მოქმედებითი გვარის ზმნის პირდაპირ ობიექტს მესამე პირში ნიშანი არ აქვს. ამიტომაც პარალელური ფორმები ზოგჯერ დ-ით, ზოგჯერ კი 0 ალომორფით წარმოდგენილი.

<sup>3</sup> თუ დჰ (←ს) თავკიდურიანი ზმნა მოსდევს ხმოვნით დაბოლოებულ სიტყვას, ასეთ შემთხვევაში ისინი ერთ სიტყვად აღიქმება. მაგ.: არადჰწავლობენ.

ჩრდილოეთი ქართული:

არაგვის ხეობა:

ღ←ჰ←0

ერთპირიანი ზმნები:

გარეთ გადვარდი; რატო არ დაბრუნდი? მარტო კი დადრჩი...

გადვარდი← გაჰვარდი←გავარდი.

დაბრუნდი ←დაჰბრუნდი ←დაბრუნდი.

მესამე პირდაპირობიექტური პირი:

აჰვიდებს ხურჯინსა, დაბურა საბანი (იმნაიშვილი, 1953, გვ. 337).

აჰვიდებს ←აჰვიდებს ← ავიდებს.

დაბურა ←დაჰბურა ←დაბურა.

რასაც გუთანი ვერ მაბხნამს, ხმალი მიწასა- აჰჰრის (273); მეძნეური აჰკრეფავს (274); კაბდოთი გადაბვეტამენ, გადაბვეტიან (274); მეძრე გამაბერტყამენ ფიწლებითა, იმასაც შაბვეტიან, რაც არნად გადვარდება. ხოვ დადღამენ, მეძრე ჯერ მოცხვამენ ცხავითა, რო მიწა გადვარდე. მეძრე ტაბაკით აჰწვერამენ, მზედ მიუფიცხებენ, ჩაყრის ტომარაში (274); დადღამენ ფთაქცეულებსა (გიგინეიშვილი, თოფურია & ქავთარაძე, 1961, გვ. 213-274).

მაბხნამს ←მაჰხნამს ← მოხნამს.

აჰჰრის ← აჰჰრის ← აჰრის.

აჰკრეფავს ← აჰკრეფავს ← აკრეფავს.

გადაბვეტამენ← გადაჰბვეტავენ← გადაბვეტავენ.

გადაბვეტიან ← გადაჰბვეტიან ← გადაბვეტიან.

გამაბერტყამენ ← გამაჰბერტყავენ ← გამობერტყავენ.

შაბვეტიან← შაჰბვეტიან ← დაბვეტიან.

აჰწვერამენ← აჰწვერამენ ← აწვერამენ.

ჩაყრის ← ჩაჰყრის ← ჩაყრის.

დადღამენ← დაჰდღამენ ← დადღამენ.

მესამე ირიბობიექტური პირი:

ამ ქვას სამორის ქვა- აჰქვიან (გიგინეიშვილი, თოფურია & ქავთარაძე, 1961, გვ. 213-274).

აჰქვიან ← ჰქვიან.

შიდაქართული ქართული

ატენისა და წედისის ხეობა:

ჰ-ს დასუსტების შედეგად მიღებულია -ა ორპირიან გარდამავალ ზმნებთან, სადაც პირის ნიშანი არ უნდა გვექონდეს მესამე პირში. მაგ.:

დაბჰატიყეს ხენწიფე თავისი ჯარით (ღვარები); იქაც დაბხვდა ერთი ბარიშნა (ღვარები); რა დამმართია! (ატენი); მომზიდავენ (ბნავისი); დადფარცხამენ (ბნავისი); გადააქელამს (ზემო ქსორვისი) (კახაძე, 1953, გვ.14).

დაბჰატიყეს← დაჰატიყეს←დაბატიყეს.

დამმართია← დაჰმართია ← დამართნია.

მომზიდავენ← მოჰზიდავენ ← მოზიდავენ.

ლიახვის ხეობა:

მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის ნიშნები ხმოვანზე დაბოლოებული ზმნისწინების მომდევნოდ **ა-ს** იძლევა<sup>4</sup>.

მანდ ნუ **გადაყრი**; **შამაძხვდათ** ხლმიანინ კაცი; **გადაყრა** წკეპლა.. (სომხიშვილი, 2002, გვ. 13).

**ა←ს:**

**შიდაქართლური:**

ვინც **დაამალოს**, მისი იყოს (სვენ.); **დაათანხმდა** დევი (ხურვ.); თან **მადევდნენ** (ბერბ.); ატენშიც **გამოსჩენიათ** ბატონი (იმნაიშვილი, 1974ა, გვ. 217).

**მადევდნენ ← მისდევენ.**

**გამოსჩენიათ ← გამოსჩენიათ.**

**დაათანხმდა ← დასთანხმდა ← დათანხმდა.**

**გამონაკლისი:** **ა** გვხვდება მესამე პირდაპირობიექტური პირის ნიშნად.

**დაამალოს ← დასამალოს ← დამალოს.**

**დააცხო** ჯოხი (ქსნ.ხეობა); შეწამლა შეიძლება მეორედაც დააჭირდეს (ლიახვ.ხ.) (სომხიშვილი, 2002, გვ.13).

**დააცხო ← დასაცხო.**

**დააჭირდეს ← დასაჭირდეს.**

**აჰ- , ას- კომპლექსი.**

ზოგჯერ **ა** ს-თან და **ჰ**-თან ერთად **ას**, **აჰ** კომპლექსს შეადგენს. „სწორედ ეს დიფთონგი გარდამავალი საფეხური“ (თოფურია, 1925: 130).

შემდეგ ეს კომპლექსები მარტივდება და რჩება **ა**.

ალბათ, ამით უნდა ავხსნათ ის გარემოება, რომ **ას**, **აჰ** კომპლექსებს ვხვდებით ქართლის ისეთ კუთხეებშიც, სადაც **ს. ჰ** ბგერების დასუსტება ჯერ კიდევ არ არის ჩვეულებრივ მოვლენად ქცეული (მაგალითად ქვემო ქართლის რიგ სოფლებში): **დააჰკოცნა**, **ააჰყვება**, **ჩააჰცხეს**, **გამოაჰტაცა ...**) (იმნაიშვილი, 1974 ა, გვ. 132).

**აჰ, ას** კომპლექსი დამახასიათებელია შიდაქართლურისათვის, მაგრამ შეინიშნება განსხვავება გავრცელება გავრცელების არეალის მიხედვით: გავრცელებულია კასპის მუნიციპალიტეტსა და ატენისა და წედისის ხეობაში, შედარებით ნაკლებად იჩენს თავს დიდი და პატარა ლიახვის ხეობაში, თითქმის არ გვხვდება ცხინვალის ახლომდებარე სოფლებში (ქურთა, კეხვი, ქემერტი, აჩაბეთი ...), ხოლო ფრონის ხეობის მეტყველება გარდამავალ ზონას წარმოადგენს შიდაქართლურსა და დასავლურ ქართლურს შორის.

ქვემო ქართლის სოფლებში, სადაც **ს-ჰ** ბგერების დასუსტება ჯერ კიდევ არ არის ჩვეულებრივ მოვლენად ქცეული, **ა** სანთან და ჰაესთან ერთად **ას**, **აჰ** კომპლექსს შეადგენს.

**აჰ ←ჰ:**

**ჩრდილოური ქართლური:**

ქსნის ხეობა:

წიბო არ **ააჰყვა** მთელია (ლარგვ.); **ააჰკიდა** აქლემებს (იკოთი); **გააჰკრა**; სუ პრიალი **გააჰქონდესო** ლარგვ.) (იმნაიშვილი, 1974 ა, გვ.218).

<sup>4</sup> მნიშვნელობა არ აქვს, პირდაპირი ობიექტია თუ ირიბი.



**შიდაქართლური:**

**მპ - მს-** კომპლექსი გვხვდება ს- პრეფიქსის ნაცვლად:

რად **დაძდეძი** პატრონაჟივტილ ბოლოთრიებსა (ბნავისი); კბილები **ამოდის** (ბნავისი); **დაძდგამენ** ხოლმე (ბნავისი); ერთმა კაცმა დათვსა ბელები **დაძტაცა** ... (ზემოქსოვრისი); მიდის და **მიძტირის** წყალსა ეს ტარიელი (ზემო ქსოვრისი) ეგრე **დაძძახე**, თორე არ დაიჯერებსო (ღვარები) (კახაძე, 1953, გვ. 298).

**დაძდეძი**←**დასდეძი**.

**ამოდის** ←**ამოსდის**.

**დაძდგამენ**←**დასდგამენ**.

**დაძძახე**←**დაძძახე**←**დასძახე**.

**მპ - მს-** კომპლექსები გამოიყენება ორპირიან გარდამავალ ზმნასთანაც. მაგ.: ყანას რო **მოძცელამენ**, მაშინ (ატენი)(კახაძე, 1953, გვ. 298).

**მოძცელამენ**←**მოცელამენ**.

**ქვემო ქართლური:**

**მპ გვხვდება -ს** პრეფიქსის ნაცვლად ისეთ ფუძეებშიც, რომლებშიც ადგილი აქვს შ/ს თანხმოვნების მონაცვლეობას. მაგ.:

მოუქნივა მუძტი. მუძტი←მუსტი←მუშტი←მუშტი.

ანალოგიურ შემთხვევებში **მპ** კომპლექსად ქცევის ობიექტად იგულისხმება **ს** და არა **შ** (**შ**→**ს**→**მს**) (თოფურია, 1925, გვ. 137-138; ჩიქობავა, 1925, გვ. 67; მარტიროსოვი, იმნაიშვილი, 1956, გვ. 34).

**მპ←მს←ს:**

**მოძწომ** ერბოში (საღრ.); **ბოლოძთრედა** (გოლთ.); ერთ ამბავს **აძტეხამდნენ** (გოლთ.); **დაძტვირთამს** ურემსა (საღრ.)... (სალარიძე, 1978, გვ. 12-14).

**მოძწომ**←**მოსწომ**←**მოსწომს**.

**აძტეხამდნენ**←**აძტეხამდნენ**←**ატეხამდნენ**.

**დაძტვირთამს**←**დაძტვირთამს**←**დატვირთამს**.

ალგეთის ხეობის ქართლურში ზემოაღნიშნულ ფონეტიკურ წესს გააჩნია გამონაკლისიც: ერთ შემთხვევაში **მ-** ით, ხოლო მეორე შემთხვევაში **მპ** (**პ/მპ**) **პრეფიქსით** წარმოდგენილი ზმნა მოსდევს თანხმოვნით დაბოლოებულ სიტყვას. მაგ.: შილდარი იმას **აქვიან** (საღ.); ბუმბულს **აძკეპამდნენ** (გოლ.). ამ მაგალითებში პირველი სიტყვის ბოლოკიდურ ს-სა და მეორე სიტყვის თავკიდურ მ-ს შორის მოსალოდნელი ანის საკომპენსაციოდ, რაღაც ირაციონალური ხმოვნის (გ) მსგავსი ბგერა (სალარიძე, 1978, გვ. 14).

**მს←ს:****შიდაქართლური:**

გაიღვიძა უცეფ ხელმჭიფემ და ძალიან **შესწუხდა**. გასცა მეორე დღეს ბრძანება (290); ერთი მაგრა **მსცემა** (315) (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 290, 315)

**შესწუხდა**←**შესწუხდა**.

**მსცემა**←**მსცემა**.

რა მუცელში **ჩამსდის** (ატენი); **მომსდევს** მამა და უძახის (ბნავისი); გული **მომსდიოდა** რა (ზემო ქსოვრისი); შენ **გამსწყდი**, შენა, შენა! (ატენი); ვინ **გვამსწავლის**, ვინ **გვამსწავლის?** (ღვარები) (კახაძე, 1953, გვ. 298).

**ჩამსდის** ←**ჩასდის**.

**მომსდევს** ←**მოსდევს**.

**მომსდიოდა** ←**მოსდიოდა**.

**გამსწყდი ← გასწყდი.**

**გვამსწავლის ← გვასწავლის.**

ლიახვის ხეობის ქართლურში იშვიათად გვხვდება **მს, მჰ კომპლექსები**. **მს** კომპლექსში შემავალი ს შეიძლება იყოს ფუძისეულიც (მე გამსწავლი), **მ** კი -პირის ნიშანი, მეორე შემთხვევაში **მს, მჰ**-ში ორივე პირის ნიშანია: **შამსწუხდა** კაცი; **ამჰხსნის** ეს კაცი ამ ბიჭსა.

**ჰს//ჰშ პრეფიქსები:**

**შიდაქართლური:**

სოფელ ქემერტის მეტყველებაში ერთი და იმავე ფუნქციით გამოყენებული ორმაგი **ჰს/ ჰშ პრეფიქსები: დასტომს** სახსა და **გასწემს**; შეშას რომ **შეჰკონამენ**; აბა თუ ერთი წერილი **დასწერეს**; კაა **შჩამს**; ჩიტებსა **ჰშჰამს**.

გვხვდება ფორმები, სადაც ერთადაა წარმოდგენილი პირველი სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის ნიშნები. მაგ.:

პატივსა **ვსცემ**; ქათამ **დავჰკლამ** მეთქი; ეხლა არ **მოვჰწველელი**; მეც ცოტა **შეესჰამეი** (ნოზაძე, 1970, გვ. 338).

**შ←ს:**

**შიდაქართლური:**

ხელმწიფემ **მოშჰრა** თავი (ხიდისთავი); **გამოშჰრიდენ** ბალახსა (დვანი); **გაშჰირვებიათ** და აყრილან სოფლიდანა (ბრეთი); სოფელში **ჩაშჰრიან** მძახლები (დირბი).

**ზ←ს:**

**შიდაქართლური:**

აქამდე **ზძინავთ** ბავშვებსა (რუისი); ქონება აქვთ, იმდენი რო თავზე **გადაზდის** (ურბნისი); ტრადიციებს ვინ **მიზდევს** კიდე (იგოეთი).

**ხ←ჰ:**

**მიხყვა** კვალსა და მივიდა სოფელში (ბრეთი); **გახყვა** გზასა ის ბიჭი და მივიდა ხელმწიფესთან (ატენი).

**დასკვნა.** გამოქვეყნებული ტექსტებისა და ფიქსირებული უახლესი მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ქართლურ დიალექტში მეორე სუბიექტური და მესამე ირიბობიექტური პირის ნიშნები წარმოდგენილია **ჰს-, ჰშ-, მ-, მს-, მჰ-, ზ-, შ-** პოზიციური ნაირსახეობით. აღნიშნული პრეფიქსების გამოყენება განსხვავებულ სურათს გვამლევს კილოკავების მიხედვით. დასავლური ქართლური განიცდის იმერულის გავლენას და პრეფიქსები თითქმის დაკარგულია; შიდაქართლურში შენარჩუნებულია პირის ნიშნები, თუმცა სხვაობა გვაქვს კუთხეების მიხედვით: ფრონის ხეობის მეტყველება გარდამავალ ზონას წარმოადგენს შიდაქართლურსა და დასავლურ ქართლურს შორის; ორმაგი პრეფიქსები (**მჰ-, მს-, ჰს-, ჰშ-**) გვხვდება კასპის მუნიციპალიტეტსა და ატენისა და წედისის ხეობაში; შედარებით ნაკლებად იჩენს თავს დიდი და პატარა ლიახვის ხეობაში; თითქმის არ გვხვდება ცხინვალის ახლომდებარე სოფლებიდან (ქურთა, კეხვი, ქემერტი, აჩაბეთი ...) დევნილი მოსახლეობის მეტყველებაში.

მეორე სუბიექტური და მესამე ირიბობიექტური პრეფიქსები განსხვავებულ პოზიციებში იჩენს თავს ქვემოქართლურსა და ჩრდილოურ ქართლურში. შეინიშნება კომპლექსთა გამარტივების შემთხვევებიც.

პირის ნიშანთა სისტემა ერთიანია სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში, მაგრამ განსხვავებული ფორმებიც შეინიშნება დიალექტების მიხედვით. ქართლური უახლოვდება კახურს, დასტურდება იმერულისათვის დამახასიათებელი ფორმებიც (დასავლურ ქართლურში).

მეორე სუბიექტური და მესამე ირიზობიექტური პირის პრეფიქსები შესაძლებელია მივიჩნიოთ ქართლური დიალექტის კილოკავების ერთ-ერთ სადიფერენციაციო ნიშნად.

### გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

- გიგინეიშვილი, ი., თოფურია, ვ., & ქავთარაძე, ი. (1961). *ქართული დიალექტოლოგია, I, ქართული ენის კილოთა მოკლე განხილვა. ტექსტები. ლექსიკონი*. თბილისი: თსუ.
- გოგოლაშვილი, გ. (2011). *თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია. სალიტერატურო ენა*. თბილისი.
- თოფურია, ვ. (1925). ქართლური. *პროფესორ ივანე ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი კრებული „არილი“* (გვ. 137-138). ტფილისი.
- იმნაიშვილი, გ. (1953). არაგვის ხეობის ქართლური. *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, IV*, 327.
- იმნაიშვილი, გ. (1956). ბორჯომის ხეობის ქართლური. *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VIII*, 102.
- იმნაიშვილი, გ. (1974)ა. *ქართლური დიალექტი. I. გამოკვლევა*. თბილისი: მეცნიერება.
- იმნაიშვილი, გ. (1974)ბ. *ქართლური დიალექტი, II*. თბილისი: მეცნიერება.
- კახაძე, ო. (1953). ატენისა და წედისის ხეობის ქართლური. *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, IV*, 273-277.
- მარტიროსოვი, ა., & იმნაიშვილი, გ. (1956). *ქართული ენის კახური დიალექტი (გამოკვლევა და ტექსტები)*. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემია.
- ნოზაძე, ლ. (1970). ქართლური დიალექტური მასალები (შეკრებილი ცხინვალის რაიონში). *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XVII*, 338.
- სალარიძე, თ. (1978). *ალგეთის ხეობის ქართლური*. თბილისი: მეცნიერება.
- სომხიშვილი, ვ. (2002). *ლიახვისა და ქსნის ხეობათა ქართლური*. დისერტაციის ავტორეფერატი. თბილისი: არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი.
- შანიძე, ა. (1953). *ქართული გრამატიკის საფუძვლები*. თბილისი: თსუ.
- შანიძე, ა. (1957). *ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, 1*. თბილისი: თსუ.
- ჩიქობავა, ა. (1925). გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად. *არილი* (გვ. 67). ტფილისი: თსუ.

### REFERENCES

- gigineishvili, i., topuria, v., & kavtaradze, i. (1961). *kartuli dialekt'ologia, I, kartuli enis k'ilota mok'le gankhilva. t'ekst'ebi. leksik'oni. [Georgian dialectology, I, a brief discussion of the kilos of the Georgian language. texts. Dictionary]*. Tbilisi: TSU.
- gogolashvili, g. (2011). *tanamedrove kartuli enis morpologia. salit'erat'uro ena. [Morphology of the modern Georgian language. Literary language]*. Tbilisi.
- topuria, v. (1925). kartluri [kartluri]. *p'ropesor ivane javakhishvilisadmi midzghvnili k'rebuli „arili“ [Collection dedicated to Professor Ivane Javakhishvili "Aril"]* (pp. 137-138). Tiflis.
- imnaishvili, g. (1953). aragvis kheobis kartluri. [Kartluri of Aragvi valley]. *iberiul-k'avk'asiuri enatmetsniereba [Iberian-Caucasian Linguistics] IV*, 327.

- imnaishvili, g. (1956). borjomis kheobis kartluri. [Kartluri of Borjomi valley]. *iberiul-k'avk'asiuri enatmetsniereba [Iberian-Caucasian Linguistics]*, VIII, 102.
- imnaishvili, g. (1974)a. *kartluri dialekt'i. I. gamok'vleva. [Georgian dialect. I. research]*. Tbilisi: Metsniereba.
- imnaishvili, g. (1974)b. *kartluri dialekt'i, [Georgian dialect]. II*. Tbilisi: Metsniereba.
- k'akhadze, o. (1953). at'enisa da ts'edisi kheobis kartluri. [Kartluri of Ateni and Tsedisi valleys]. *iberiul-k'avk'asiuri enatmetsniereba [Iberian-Caucasian Linguistics]*, IV, 273-277.
- mart'irosovi, a., & imnaishvili, g. (1956). *kartuli enis k'akhuri dialekt'i (gamk'vleva da t'ekst'ebi). [Kakhuri dialect of the Georgian language (research and texts)]*. Tbilisi: Georgian Academy of Sciences.
- nozadze, l. (1970). *kartluri dialekt'uri masalebi (shek'rebili tskhinvalis raionshi) [Kartli dialect materials (collected in Tskhinvali region)]*. *iberiul-k'avk'asiuri enatmetsniereba [Iberian-Caucasian Linguistics]*, XVII, 338.
- salaridze, t. (1978). *algetis kheobis kartluri [With the wind of Algeti valley]*. Tbilisi: Metsniereba.
- somkhishvili, v. (2002). *liakhvisa da ksnis kheobata kartluri [Kartluri of Liakhvi and Ksni valleys]*. disert'atsiis avt'oreperat'I [Dissertation abstract]. Tbilisi: Arnold Chikobava Institute of Linguistics.
- shnidze, a. (1953). *kartuli gramat'ik'is sapudzvlebi [Basics of Georgian grammar]*. Tbilisi: TSU.
- shnidze, a. (1957). *kartuli enis st'rukt'urisa da ist'oriis sak'itkhebi [Issues of the structure and history of the Georgian language]* 1. Tbilisi: TSU.
- chikobava, a. (1925). *gare-k'akheti dialekt'ologiurad [Gare-Kakheti dialectologically]*. *arili [Arili]* (p. 67). Tiflis: TSU.